№ 94
ხუთშაბათი, 6 მაისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 94
ხუთშაბათი, 6 მაისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 8 მაისს.

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **7** მან. **25** კაპ.

სამსონ დავითის ძე ლონდაძე, ქმარი გარდაცვალებულის

## ეკატერინე იოსების ასულისა,

უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ პანაშვიდზედ, საღამოს 7 საათზედ, 5 და 6 მაისს. ლაბორატორის სლობოდაში, № 72. გარდაცვალებულს გაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში პარასკევს, 7 მაისს, დილის 9 საათზედ. (2—ნ.—2).

„ქარ. შ. წერ. კით. გამ. საზ.“ გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 9 მაისს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა განსვენებულის

## ალექსანდრე როინაშვილის

სულის მოსახსენებლად. (3—უ—1)

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“.

დანიშნულია მაისის **16** და **17**-ს კვირას და ორშაბათს, მუშტაიდში.

შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, **№ 21**.

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნი:

## სომეხთა მეცნიერნი და ჭკათა ღაღადი

წერილი ილია ჭავჭავაძისა

„ივერიის“ რედაქციის გამოცემა.

**ფასი ერთი აბაზი**

ვისაც ქალაქ გარედ ჰსურს დაიბაროს ეს წიგნი, ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიას უნდა მიჰმართოს.

ტფილისის სათავად-აზნაურო სააdგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების მე-91 §-ის ძალით, ამით აუწყებს ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1899 წლის 30 მაისისათვის დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება. კრება მოხდება დილის 10 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1. ბანკის 1898 სამოქმედო წლის ანგარიში.
2. ბანკის 1899 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
3. საზოგადო საჭიროებისათვის გადადებულ თანხის განაწილება.
4. მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის შესახებ.
5. მოხსენება იმ ერთ-დროებითად შემოტანილ ფულის შესახებ, რომელიც ერთმევათ სესხის გატანის მსურველთ დაფასებისა და გირავნობის ფურცლების მომზადების ხარჯად.
6. მოხსენება ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო და დამხმარებელ კასსის წესდების შესახებ.
7. შემწეობის აღმოჩენა სხვა-და-სხვა დაწესებულებისა; საზოგადოებათა და კერძო კაცებისათვის.
8. არჩევანები: გამგეობის ორის წევრისა: უგანათ. თავ. მიხეილ ალექსანდრის ძის გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების ძის მამაცაშვილის ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა: თავ. ლევან ლევანის ძის ჩერქეზიშვილისა და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის თუმანიშვილის ნაცვლად, რომელთაც აგრეთვე ვადა უთავდებათ, და მათის კანდიდატებისა. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წარმომადგენელიც უნდა დაესწროს (წესდების მე-91 § ის შენიშვნა). (3—ნ.—2)

ხუთშაბათს, 6 მაისს, 1899 წელს,

## ნიკიტინის ცირკში

ქართულის თეატრის აქტიორებისაგან, არტისტის სვიმონიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება

## ქორ-ოღლი

ტრაგედია 4 მოქ. ანტონოვისა.

დასასრულ **ლეკური.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. რჩეულოვისა, საყვარელიძისა, ხაფთასისა, ბ.ბ. **სვიმონიძე**, ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, კანდელაკი, შველიძე, კავთელი, ურუშაძე და სხ. წარმოდგენის დაწყებამდე ორკესტრი შეასრულებს „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“. ფასები 10 კაპეიკიდგან 1 მანეთამდე.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

რეჟისორი ა. ადამიძე.

**ტფილისის სათავად აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის** მმართველობა ამითი აცხადებს, რომ სხვა-და-სხვათა მამულების საჯაროდ გაყიდვის შესახებ განცხადებებში, რომელიც დაბეჭდილი იყო ამა წლის „ივერიის“ მე-90, 91 და 92 №№-ში, შეპარულა შეცდომა, სახელდობრ: გამოცხადებულია რა მაჩაბლიანის რომანოზ დავითის ძის სოფლის მამული, არ არის მოხსენებული „შემოსატანი გარდასახადი 1365 მან. 20 კაპ., განაწილებული სამ ნახევარ-წლად“. (3—ნ.—3)

**სარევიზიო კომისია ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა** მოიწვევს წევრთ ამა ამხანაგობისას საგანგებო კრებაზედ, 9 მაისს, 1899 წელსა, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში, განსახილველად და დასამტკიცებლად ამხანაგობის 1898 წ. წლიურის ანგარიშისა და სხვა საგნებისა, რომლების განხილვაც ჩვეულებრივმა კრებამ, შემდგარმა 21 აპრილს, ვერ მოასწრო, კრების თავმჯდომარის წყალობით. (5—ნ.—3)

**წიგნის გამომცემელ ამხანაგობის** საზოგადო კრება დანიშნულია 9 **მაისს** ამა 1899 წლისას, შუადღის 12 საათზედ, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში 1897 და 1898 წლისა.
2) არჩევანი მმართველობის წევრებისა.
3) არჩევანი სარედაქციო კომისიის წევრებისა.
4) მიმდინარე საქმეები.
5) განაწილება დივიდენდისა.

ამხანაგობის მმართველი
(3—ნ.—3) მ. ბადრიძე.

## „შუამავალი“

ამხანაგობის მაღაზია გადავიდა უკვე თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის წინ. (3—ნ.—3)

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს. მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—36)

## კბილის ექიმი
## ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტ-სევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. პ. კარაპეტიანცი. $1-1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4-2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროთერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ.)

# ახალი ამბავი

*** 4 მაისს, ბ-ნმა არაფელოვმა გადასცა ქალაქის გამგეობას 300 მანეთი მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფონდის სასარგებლოდ.

*** ეგზამენები ტფილისის საიუნკრო სასწავლებელში უკვე დაიწყო. ეგზამენების დამთავრების შემდეგ მოსწავლენი საზაფხულოდ დაბა სურამში წავლენ.

*** ხუთშაბათს, ექვს მაისს, საღამოს $9^1/_2$ საათზედ, მორიგი კრება ექმნება რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, პ. ი. ლინდე წაიკითხავს მოხსენებას ამერიკულ ვაზისა და ჩვენში ჩაის გაშენების შესახებ.

*** როგორც ხმა დადის, ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას დაუზღვევია ს.-პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოებაში როგორც ყველა მოსამსახურე ამ გზისა, ისე მგზავრნიც და უკეთუ რაიმე უბედურება მოხდა და ვინმე მოსამსახურეთაგანი, ან მგზავრთაგანი დაშავდა, დამზღვევი საზოგადოება აძლევს დაშავებულს ჯილდოს იმის მიხედვით, თუ რის მომგები, ან რა ჯამაგირის მქონე იყო დაშავებული, წლიური პენსია რა ჰქონდა და სხვანი. ამ ფულის რაოდენობას გაანკეცებით უხდის დამზღვევი საზოგადოება. ეს ვალდებულება უკისრია დამზღვევს საზოგადოებას ამ წლის 1 იანვრიდგან და აქამდე-კი არც ერთმა მოსამსახურემ ცხენის რკინის გზისამ არ იცის ეს ამბავი. თვით ჩვენ განგებ ვკითხეთ რამდენსამე ძველს კონდუქტორს და არც ერთს მათგანს არც-კი გაეგონია. საკვირველია, რად ინახავს უსახელო საზოგადოება ამ ამბავს საიდუმლოდ, თუ იგი მართალია?!..

*** შაბათს, 8 მაისს, საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში (გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 15) გამართული იქმნება საუბარი ბაღოსნობის შესახებ.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგედ ახლად დანიშნული ბ-ნი სმირნოვი 2 მაისს ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა თავისის თანამდებობის აღსრულებას.

*** გუშინ-წინ, 4 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია წავიდა ქ. დუშეთს საქმეების განსახილველად. სესია შესდგება თავმჯდომარის ი. ო. პარჩევსკისა, სასამართლოს წევრის ვ. ფ. პადალკოსი და ბრალმდებელის ამხანაგის ნ. ა. ტარსაიძისაგან. სესიამ უნდა განიხილოს 15 სისხლის საქმე და 6—სააპელაციო. სესია დაჰყოფს დუშეთში 10 მაისამდე.

*** როგორც მკითხველებმა უთუოდ უწყიან, იმ სოფლელთ, რომელთაც ტფილისში ურმებით სოფლის ნაწარმოები მოაქვთ გასასყიდათ, განსაკუთრებული გარდასახადი ერთმევათ მოედნებზედ ურმების გაჩერებისათვის. ტფილისის გუბერნიის გამგეს მოუთხოვნია ქალაქის მოურავისათვის განმარტება იმისა, თუ რად არსებობს ეს გარდასახადი, როდესაც კანონი ასეთის გარდასახადის წინააღმდეგიაო. ქალაქის მოურავმა ამ დღეებში აცნობა გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ ეს გარდასახადი დაწესებულ იქმნა საბჭოს 1888 წლის 7 მაისის დადგენილების თანახმად. ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულომ, რომელსაც გარდაეცა ეს დადგენილება განსახილველად, არ შეიწყნარა მხოლოდ მე 3 მუხლი ამ დადგენილებისაო. ამას გარდა,—ნათქვამია მოურავის პასუხში,—ქალაქის გამგეობას ამ გარდასახადის შემოსავალი ყოველ წელიწადს შეჰქონდა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში. ხოლო ეს ხარჯთ-აღრიცხვა ეგზავნებოდა განსახილველად გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს და აგრეთვე გუბერნატორსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსაო.

*** ფოთის ქალაქის თვით-მმართველობა უკვე შეუდგა ფოთის ნავთ-სადგურის გამართვის საქმეს. ამასთან თვით-მმართველობამ, როგორც გაზეთ „კავ.“-ს ატყობინებენ, დაავალა ნ. ი. ნიკოლაძეს დაათვალიეროს საზღვარ-გარეთ საუკეთესო და ახლად აგებული ნავთ-სადგურები და შეჰკრიბოს ყოველგვარი ცნობები იქ არსებულ წესების, კონფერენციების და სხვათა შესახებ, შემდეგ შეიმუშაოს პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვანი თოფის ნავთსადგურის წარმოების შესახებ. ამის გამო ფოთის ქალაქის მოურავს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს შუამდგომლობა აღუძრავს გარეშე საქმეთა სამინისტროს წინაშე და უთხოვნია, განკარგულება მოახდინოს სამინისტრომ, რომ მგზავრობის დროს შემწეობა აღმოუჩინონ მას ამ სამინისტროს დაწესებულებათ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში არსებულთ: გერმანიასა, ინგლისსა, საფრანგეთსა, ბელგიასა, ნიდერლანდიასა, ესპანიასა და ეგვიპტეში. ეს შუამდგომლობა, როგორც იგივე გაზეთი იუწყება, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს უკვე წარუდგენია კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, გაზ. „კავ.“-ის სიტყვით, მოსთხოვა ქალაქის მოურავს პირი საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ესრედ წოდებულ „საკვირაო გარდასახადის“ (ეს გარდასახადი ერთმევათ ვაჭრებს, რომელთაც კვირაობით მოედნებზედ გამოაქვთ საქონელი გასასყიდათ) დაწესებას შეეხება და აგრეთვე ის, თუ რაოდენია ეს გარდასახადი. 4 მაისს ქალაქის მოურავმა წარუდგინა გუბერნიის გამგეს განმარტება ამის შესახებ. ამ განმარტებიდგან აშკარავდება, რომ ქალაქის გამგეობის საქმეებიდგან არა სჩანს, ამ გარდასახადის დაწესების შესახებ საბჭოს განსაკუთრებული დადგენილება არსებობდესო. ამ გარდასახადის არსებობის კანონიერობას ქალაქის მოურავი ამტკიცებს იმით, რომ იგი დიდი ხანია შემოღებულია ტფილისში და გარდა ამისა ასეთივე გარდასახადი მოსკოვსა, ხარკოვსა და კიევშიაც არსებობსო.

*** როგორც გაზეთები იუწყებიან, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის ვიცე დირექტორად ნიშნავენ კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს ადიუტანტს ვ. ო. ტროფიმოვს.

*** ფოთი. 1 მაისს ფოთის დედათა სკოლის დარბაზში, იმავე სასწავლებლის სასარგებლოდ გამართული იყო აქაურ ქველ-მოქმედ მანდილოსანთა მეთაურობით საცეკვაო საღამო. ორ მაისს იმავე სასწავლებლის სასარგებლოდ გაიმართა ქალაქის ბაღში სეირნობა-ბაზრობა.

*** ფრონის ხეობიდგან გვწერენ: ღვთის მადლით, ჯერ-ჯერობით ყველა მოსავალს ისეთი კარგი პირი უჩანს ჩვენსკენ, რომ ასეთს თითქმის ჯერ არავინ მოსწრებია. ამინდმა თუ ხელი შეუწყო და ამის შემდეგ არ გააფუჭა, შუა თიბათვეში კალოები გაიმართება.

*** ს. შხეფი, (სენაკის მაზრა). აქეთ ყანების მუშაობისთვის ჯერ-ჯერობით კაცს ხელი არ მოუკიდნია, რადგან მიწა ძალზე გაგვალული იყო, ამის გამო მუშა-კაცი ძალიან დაღონებულ დაძმარებულია. წინა წლებში ამ დროს ნახევრად დათესილი იყო ყანები.

*** როგორც თბილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების მიერ შეკრებილის ცნობებიდგან სჩანს, პირველ აპრილიდგან თბილისშიავად გამხდარა: ქუნთრუშით—3, ყვავილით—2 (1 გარდაცვლილა), წითელათი—15, ყიყანა-ხველით—6 და შავი სახადით—36.

*** გაზ. „კავკ.“ ატყობინებენ, რომ 31 წარსულ მარტს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ქუთაისში განზრახულ პურის-მცხობელთა საზოგადოებისათ.

*** ამ ბოლოს დროს მტკვარმა ძალიან იმატა, ამის მიზეზი ის არის, რომ უკანასკნელ დღეებში განუწყვეტლივ წვიმს.

### წერილი დ. ონიდგან

(რედაქციის მიმართ)

ონი ერთად ერთი პატარა ბაზარია მთელ რაჭის მაზრაში. აქ სცხოვრობს 120 კომლამდე ებრაელი, 80 კომლამდე—ქართველი და 20 კომლამდე—სომეხი. ონში არსებობს ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი ვაჟებისათვის და ერთიც ქალების სასწავლებელი, რომელიც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც დაარსდა. მთელ ბაზარში მხოლოდ 15 ფარანი ბჟუტავს ღამ-ღამობით; მეტი ნაწილი შენობებისა ძველის ძველია; თუ გაავდარდა, ქუჩაში კაცი ველარ გაივლის, ისეთი საშინელი ტალახი და ტბები დგება ხოლმე. თეატრი ან სხვა რაიმე გონების გასართობი ხომ თავისს დღეში არ ჰლირსებია ონს. ერთის სიტყვით, ონი მიყრუებულ სოფელს უფრო წააგავს, ვიდრე რომელსამე დაბას. ონში ბაზრობა იციან პარასკეობით; ამ დღეს ყველა ახლო-მახლო სოფლიდგან შემოდის გასასყიდად: სიმინდი, პური, ხე-ტყე, წინდები, პაიჭები, ყველი, ერბო და სხ. ყველა ეს საქონელი სოფლებიდგან სულ დედაკაცებს შემოაქვთ. პარასკეობას ბლომად ესწრებიან ახლო-მახლო სოფლების თავად-აზნაურები, რომლებიც მომეტებულ ნაწილად ლოთობასა და ერთიმეორესთან ჩხუბში ალამებენ. როგორც გავიგეთ ეხლა ხან, ვითომც სოფ. ბუგეულის ბაზრობის გადმოტანას აპირებდნენ ონში. თუ ეს მართალი გამოდგა, იმედია, მაშინ ონიც ცოტათი სულს მოიბრუნებს. ბაზრობის ონში გადმოტანა ხალხისათვისაც კარგი იქნება, რადგან ონში ძალიან იაფად იშოვნის სანოვაგეს და საბალახესაც. სოფ. ბუგეულში ბაზრობა ერთს კვირას გასტანს ხოლმე, სექტემბრის 3 რიცხვს იწყება და 10 თავდება.

დაბა ონში მცხოვრები ებრაელნი, ვიდრე ახალი კანონი არ გამოიცა მევახშეების ასალაგმავად, რაც უნდოდათ, იმას სჩადიოდნენ. ბევრ თავად-აზნაურს დააბანინეს ხელი მამულ-დედულიდგან და დასტოვეს ცარიელ-ტალიერზედ. ხშირად მომხდარა, რომ ას მანეთზე ხუთი თუმანი მოგება აეღოთ ხოლმე; ერთმა ებრაელმა ერთ მღვდელს ორმოც თუმანში სამასი თუმანი გარდაახდევინა. (?) საწყალ მღვდელს რაც რამ გააჩნდა, სულ ვაჭრობით გაუყიდეს. იმათებურ იქცევა დღეს დ. ონში მცხოვრები გ. გ—ლი, აი მაგალითი: სოფ. წესში მცხოვრებმა ყ. ე—ძემ გადმომცა 32 მ. და მთხოვა,—ეს ფული გადაეცი გ. გ—ლსაო; ჩემი აღმასრულებელი ფურცელი აქვს 32 მ. და ის გამოართვი. ჩამოვართვი 32 მ. და მივუტანე მევახშეს. ფული მოგიტანე მეთქი, რომ ვუთხარი, ულვაშებ ქვეშ ჩაიცინა და მკითხა, ვინ გამოგატანაო. ყ—ეძემ—მეთქი. რამდენი არისო? დამეკითხა. 32 მანეთია მეთქი მივუგე. არა, აღმასრულებელს ფურცელში 35 მანეთი მაქვს გარდაწყვეტილი და 32 მ. როგორ დავჯერდებიო, სთქვა. მაშ კარგი' 3 მანეთს ჩემსას დავუმატებ, რადგან ასე გქონიათ გადაწყვეტილი, 32 მ. მიიღეთ და აღმასრულებელი ფურცელი გადმომეცით, ვუთხარი. მაშინვე დატრიალდა, მოიტანა ფურცელი, დააწერა სრული კმაყოფილება მივიღეო და გადმომცა. წავიკითხე აღ. ფურცელი და შიგ მხოლოდ 32 მ. ეწერა, 30 იანვარს 1899 წ. გარდაწყვეტილი, კანონიერი $^0/_0$-ით. მას უკან ჯერ ერთი თვეც არ გასულიყო. საშინლად გამაკვირვა იმისმა ასეთმა ცოცხალმა ტყუილმა, მივუბრუ-

# ფელეტონი

**ბებია ხვარამზე**

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

**V**

ამ ხანებში ხვარამზეს აეტორღიალა ერთი ხანში შესული, დაქვრივებული თუქურმიშელი რუსი პეტრო ივანიჩი, რომელიც ოდესმე ხვარამზეანთ სოფელში ვიღაც ობოლის ქალის ბინაზე ზეთსიძეთ მისულა და იქვე ცხოვრობდა მარტოკა თავის გაკეთებულს, ორ-პატარა ოთახიან, თეთრად გალესილს ფიცრულ-სახლში....

ხვარამზეს შერთვიდამ ორის წლის შემდეგ პეტრო ივანიჩმა თქვენი ჭირი წაიღო და საიქიოს გუდა-ნაბადი აიკიდა. მთელი სოფელი ლაპარაკობდა, რომ ხვარამზემ ქმარს დარიშხანა მოუყარა საჭმელზე და იმისაგან მოუკვდაო. ქმრის სიკვდილის მერე, მთელი რვა წელიწადი ხვარამზეს სახლში, რომელიც პეტრო ივანიჩმა ჯვარის დაწერის მეორე კვირასვე დაუმტკიცა ცოლს ნოტარიუსის წესით, გარყვნილობის ჩარბუზანა ებათ ყოველ-ღამ ხვარამზეს კურო-

საყვარლებს: ათასის ჯურის, რჯულის და ხელობა-სამსახურის „ბემურაზ ლოთი-ფოთებს“.

მეცხრე წელიწადს ხვარამზეს ავი ჭირი გადაეკიდა და რადგანაც ამ ჭირის რიგიანი წამლობა არავინ იცოდა სოფლად, ამისათვის რამდენიმე თვის განმავლობაში სისხლში გამჯდარმა საშინელმა ჭირმა ხვარამზეს ხელი დაჰრია და მთლად ბოლოც მოუღო მის სილამაზე-მშვენიერებას: თმა წარბ-წამწამი ჩამოსცვივდა, წკრიალა ხმა დაბზარულ ზარივით დაუხრინწიანდა, სახე ჩასისხლიანებულის წინწკალ ხალებით აევსო, ბოლოს ცხვირის ნესტოებიც გამოალპა და მაისის ვარდივით ლალანა ხვარამზე ისეთი სახიჩარი და საზარელი სანახაობისა გახდა, რომ ადამიანის თვალს ველარ ეჩვენებოდა, სანამ ცხვირ-პირს თავზე მოსახვევით არ აიხვევდა ხოლმე თვალებამდის.

ვიდრე ხვარამზეს ავი ჭირი სახეზედაც გამოაჩნდებოდა, იმ რამდენსამე თვეში ბევრს კაცს გიდაჰკიდა ავი ჭირი, იმ კაცებმა კიდევ სხვებს გადაადვეს. ამათ სხვებს შეჰყარეს, როგორც გარეგნობითაც ბევრნაირად გადამდები სენი და ასე და ამგვარად მრავალნი დაიღუპნენ და დაზიანდნენ სულიან-ხორციანად.

მაშინ როდესაც ხვარამზეს ბედი უკუღმა დაუტრიალდა, შავს საფლავში ჩაესვენა მისი ბედის ვარსკვლავი სილამაზე მშვენიერება და აღარავინ მიდიოდა მის სახლის კარზედ, სწორედ იმხანებში დაატყდა ხვარამზეს ორი დიდი უბედურებაც ერთი ერთმანეთზედ: მის თერთმეტის წლის გოგიშვილს, ლამაზ ქრისტესიას გამოაჩნდა დედისაგან გადადებული ავი სენი, რისგანაც ფეხებმა თითებსა და თითებს შუა ლპობა დაუწყო; ხვარამზე ვერ მიჰხვდა, რომ შვილს ავი ჭირი გადაადვა და წამლობისა ნაცვლად მკითხავებისაგან ნარჩევს ეკლესიებში დაარბენინებდა ღამის სათევად. ერთს ღამეს ქურდებმა გაუტეხეს უპატრონო სახლი და რაც-კი რამ ფული თუ ოქრო-ვერცხლის ნივთები ება და ხვარამზეს—მთლად წაიღეს. ბევრი იტირა, თავში იცა, ივაგლახა და ირბინა აქეთ-იქით მოხელეებთან ხვარამზემ, მაგრამ დანაკარგის კვალს ვერ მიაგნო.

სიღარიბე-შიმშილმა რომ შეაწუხა დედა-შვილი, ხვარამზემ მაჭანკლობა დაიწყო ლუკმა-პურის საშოვნელად. როგორც დღესაც ყველა სოფელში, ხვარამზეს სოფელშიაც მოიპოვებოდნენ საწყალ ღატაკ გლეხთა ათასში ერთი ისეთი ქალ-მანდილოსნები, უსულგულო ადამიანთა ათას გვარის ულმერთობა-უსამართლობით თუ ჯოჯოხეთურ ცხოვრების მრავალ-გვარის გაჭირვებით ძალა უნებურად ზნე-დაცემულნიც, რომელნიც მალვით-ფარვით უნამუსობდნენ, როცა-კი ფულის მიმცემი „მუშტარი“ გამოუჩნდებოდათ და შესაფერი დრო შემთხვევაც ხელს მოუწყობდათ; აი სწორედ ამისთანა ზნე-წამხდარ ქალ-მანდილოსნებს გაუხდა ხვარამზე ლალალ-მაჭანკლად და კაი „ბაზარიც“ გაუხსნა თავის სახლში. მაჭანკლობაში დახელოვნებული ხვარამზე ზოგიერთს ნამუსიან, სიღარიბით გამოღატაკებულ ქალ-რძლებსაც შეუჯდა ჩრჩილივით და მალე ისინიც გაწვრთნა თავისებურად ათასნაირის მანქანებახრიკებით და საწყალ-ღატაკ დედაკაცის მიმზიდავ-მომხიბლავ ასიგნაციების ყოვლად შემძლებლობით.

ნახევარ წლის განმავლობაში ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო, რომ „ცხვირ-მოჭმულ უნამუსოს“ (ასე ეძახდნენ ხვარამზეს) სოფლის ზოგიერთ ღატაკ ქალ-მანდილოსნებისათვის უნამუსობის ბაზარი გაეხსნა და თითქმის ყოველ-ღამ იმის სახლში კიდევ გარყვნილობის ჩარბუზანა ებათ ათასი ჯურისა და რჯულის ლოთი-ფოთ-დარდიმანდებს, რის გამოც ერთს კვირა-დღეს მთელი სოფელი დაეცა ხვარამზეს სახლს, მილეწ მოლეწეს სახლის ფანჯრებ-ავეჯეულობა და თან ამას უყვიროდა ხვარამზეს მაწონივით შედედებული და მღელვარე ზღვასავით აბობოქრებული ხალხი კბილების მრისხანე კრაჭუნით:

— დღეის იქით ყველანი გითვალთვალებთ, ყველანი! თუ შენ ჩვენს ქალ-მანდილოსნებს თავს არ *დაანებებ, ერთ ღამეს ცეცხლს წაგიკიდებთ და შიგ ამოგხრუკავთ მურდალ თაგვივით! თავშალმა დაგკიდებთ საქვეყნოდ და ქვეშიდგან ცეცხლს შეგიკეთებთ, შე უნამუსო, ჭირის ბუდევ, შე ჩვენი სოფლის წამრყვნელ-წამპილწველო კახპახანავ! არზას მივართმევთ გუბერნატორს, რომ ციმბირს იქით გადაგასახლოს, შე ქანქრით შეჭმულო, მყრალო, ჭაობო!...

იმ დღიდგანვე მოიშალა ხვარამზემ მაჭანკლობა, რადგანაც იცოდა, სოფელი აღარ აპატიებდა: საზარლად აღელვებული ხალხი აყეფებულ ღვართ-ქაფივით გადუვლიდა მის სახლ-კარს ხელ-მეორედ და ველარც თითონ გადაურჩებოდა ცოცხალი: მხეცივით გამძვინვარებული ბრბო ხალხისა ხედ შესდგებოდა და წიხლით გაჰსრესავდა ჭიანჭველასავით.

დ. მახხანელი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 93.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდი და ვუთხარი: აქ 32 მ. მეტი არა სწერია და თქვენ-კი გაიძახით, 35 მ. მაქვს მოსკილიო, ეს როგორ შეიძლება-მეთქი! იგი საშინლად დაიღმიჭა, ცოტა არ იყოს, ტყუილისა შერცხვა და, სხვა რომ ვერა მოახერხარა, ეს მითხრა: წრევანდელი სარგებელი არ მიმიღია და იმიტომ გთხოვე 35 მანეთიო. ბოლოს აღმასრულებელი ფურცელი უკანვე წაიღო და მომაძახა: „ამ ფულებს სულ პრისტავზე დავხარჯავ და ჩემს გულს მაინც ვიჯერებო“.

საკვირველია ასეთი საქციელი ბ. გ. გ—შვილის მხრივ, მით უმეტეს, რომ ის საკმაოდ შეძლებული კაცია, და გვიკვირს რად დასდგომია ასეთს არა-კანონიერს გზას.

ვანო პიპინაძე

## წერილი ცხინვალიდგან.

(ქართლი)

30 აპრილს ხუთი საბლაღოჩინო სამღვდელოება იყო აქ შეკრებილი. ადგილობრივმა ბლაღოჩინმა მამა კაპანაძემ ჯერ ერთი კვირის წინ წერილებით და ამ დღეს კიდევ სიტყვიერად განუმარტა სამღვდელოებას ის საგანი, რისთვისაც მოიწვია ისინი.

კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას აზრადა აქვს საქართველოს საექსარხოსოში გადმოიტანოს თავისი ოთხ-კლასიანი საქალებო სკოლა, რომელსაც აქამდის კავკავის ეპარქიაში ინახავდა. ამ სკოლისათვის დასახელებულია, სხვათა შორის, ცხინვალიც, თუმც იგი მისცემს სკოლას ადგილსა და სახლს. ამ საგანზე ცხინვალელებს დაუდგენიათ განაჩენი და აღუთქვამთ მომავალის სკოლისათვის 2500 მან. და მიწა. ხოლო თავად-აზნაურობა შეჰპირებია 2000 მანეთს. ეხლა სამღვდელოებასაც შეეკითხა ბლაღოჩინი, თქვენის მხრით აღმოუჩენთ შემწეობას, თუ ვერაო, რადგან ამ სკოლაში თქვენც შეგეძლებათ შვილების აღზრდაო. მ. კაპანაძემ წინადადება მისცა კრებას, რომ ოთხ-ოთხი თუმანი შეეტანა თვითეულ კრებულს ამ საქმისათვის ერთ დროებით; მაგრამ, რადგან გამოირკვა, რომ ჯერ ეს სკოლა უმთავრესად მთის სამღვდელოების და იმათის მრევლისა არის, და მეორეც, ბევრის მღვდლისათვის ცხინვალი უფრო ძნელი მისავალია, ვიდრე გორი და ტფილისი, კრებაზედ დამსწრეთ შეადგინეს ორი ქაღალდი: ერთი მთისა და ცხინვალის ახლო მყოფმა სამღვდელოებამ, რომელმაც, წინადადებისამებრ, იტვირთა კრებულზე ოთხი თუმნის გამოტანა; მეორეც ნებაყოფლობით შეწირულებითი სია, უფრო დაშორებული სამღვდელოებისაგან. სულ ამ კრებამ 2000 მანეთამდე აღუთქვა სკოლას.

გოდრონი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ფცა, (გორის მაზრა). 29 აპრილს ცეცხლი გაუჩნდა აქაურ გლეხის სინო ბერუაშვილის საბძელს, რომელთანაც ერთად სტიქიონმა იმსხვერპლა სამიც სხვა საბძელი და მეტრე ა იქვე მდებარე ბაღ-ვენახები. მეტად დაზარალდა გლეხი გიგო ბერუაშვილი, რომელსაც თურმე ოჯახის ყოველივე ავეჯეულობა საბძელში ჰქონდა შენახული, რადგან სახლს აშენებდა. ზარალი სულ ას თუმნამდეა. სწორედ შესაზრალისი სანახავი იყვნენ მტირალნი პატრონები და იმათთან საშველად მოსული ხალხი, რომელიც გულ-ხელ დაკრეფილი შესცქეროდა ამ სანახავს და ძალა არ ჰქონდა წინააღსდგომოდა ძლიერ აღმოსავლეთის ქარს, მანამ ის თავისას შეასრულებინებდა მეუბრალოებელს ცეცხლს. გამოკითხვამ აღმოაჩინა, რომ ბავშვს მამასთან ჩიბუხის ცეცხლი მიჰქონდა და ნაპერწკალისაგან მოხდა ეს უბედურება. ჩვენის მხრით უნდა გვითქვათ, რომ სწორედ განგება იფარავს ქართლის სოფლებს: შენობები ახლო-მახლო, ერთი მეორეზედ არის მიდგმული, და იმათში ჩალა-ბულით დახურული საბძლებია. ამბობენ, — რამდენიმე წლის წინად გამოცხადება იყოო, რომ კალო-საბძლები სოფლებიდგან გაეტანათო, მაგრამ ამას ძალა არ მისტანა მთავრობამ და ხალხმაც უფრო აღარ ათხოვაო. კარგი იქნება, რომ ასეთი განკარგულება თუ არ ყოფილა, იყოს მაინც, რომ ზემოთ ნაამბობ სანახაობისაგან და შიშისაგან შემდეგში მაინც თავისუფლები ვიყვნეთ.

გ.

# რუსეთი

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული, დაწესებულ იქმნას დამზღვევ ინსპექტორთა თანამდებობანი. ეს საგანი სამინისტრომ უკვე შეიტანა განსახილველად სახელმწიფო საბჭოში.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს გადააკეთის საარქეოლოგიო ინსტიტუტი. ახალი პროექტით ინსტიტუტი უნივერსიტეტის მაგვარად იქმნება მოწყობილი. ამას გარდა რამდენიმე ახალი კათედრაც იქმნება შემოღებული.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინა პროექტი იმის შესახებ, რომ აწ არსებულ ყველა დამზღვევ საზოგადოებას ახალი გადასახადი დაედოს. ამ რიგად შეკრებილის ფულით აზრადა აქვთ დააარსონ კერძო ცეცხლის ჩამქრობი რაზმები.

— „Рус. Вѣд.“-ი სწერს: ხმა დადის, რომ სასულიერო სემინარიებში ახალის წესდების შემოღებისათანავე სწავლა-დამთავრებულნი სემინარიელნი დაჰკარგავენ უნივერსიტეტში შესვლის უფლებასაო.

— გაზ. „კავკასიონი“ შემდეგს უცნაურს ამბავს იუწყება: სოფ. ხიკიტოვკაში, გლუხოვსკის მაზრაში 20 აპრილს მოუკლავთ 10 წლის ყმაწვილი ივანე მორგუნი. მოკლულისათვის გაუძვრიათ ტყავი და გვამი გადაუგდიათ წყალში. როგორც პოლიციის გამოძიებას აღმოუჩენია, ივანე მორგუნი მისულა სათამაშოდ თავისს ამხანაგთან 10-სავე წლის ყმაწვილთან პეტრე მელნიკთან. იქვე მისულა პეტრეს უფროსი ძმა მიტროფანოვი და მოუკლავთ ივანე მორგუნი. დამ მიტროფანოვმა მელნიკს და იმისს მამას ანტონს გაუძვრიათ ტყავი და გვამი-კი წყალში გადაუგდიათ. სასამართლოში დამნაშავენი გამოტყდნენ, ბავშვი იმიტომ მოვკალით და გავაძრეთ ტყავი, რომ გვინდოდა იმის ქონით გვესარგებლა და სანთელი ჩამოგვესხაო. თქმულება არის, ვისაც ასეთი სანთელი ექმნება, იმას ყოველგვარი ქურდობა შეუძლიან ჩაიდინოს, ვერავინ ვერაფერს გაუგებსო.

# უცხოეთი

საფრანგეთი. საკასაციო სასამართლოში ყოველ დღე აუარებელი ქაღალდი შედის დრეიფუსის საქმის გამო. ამ ქაღალდების განსახილველად სპეციალურ სასამართლოს, გაზ. „Journal“-ის სიტყვით, აურჩევია კომისია, რომლის წევრებად არიან: სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე, სასამართლოსავე სამი ნაწილის თავმჯდომარეები და სასამართლოს ერთი უხუცესი წევრი. კომისიას ყველა ქაღალდები განუხილავს, მაგრამ, როგორც იგივე გაზეთი ამბობს, არც ერთს იმათგანს დიდი მნიშვნელობა არა ჰქონია საქმისათვის.

— საფრანგეთის ახალი სამხედრო მინისტრი გრანცი დაიბადა 1848 წ. ქალაქ დინოზში, ვოგეზის დეპარტამენტში, რომლის დეპუტატად იგი არის 1891 წლიდგან. გრანცმა სწავლა დაამთავრა პოლიტეხნიკურ სასწავლებელში, შემდეგ მასწავლებლად იყო ერთგვარს სასწავლებელში, სადაც ასწავლიან ხიდებისა და გზების კეთებას. 1878 წელს გამოვენის უფროს კამისრის კაბინეტის მმართველის თანამდებობას ასრულებდა; ერთ დროს დეპუტატთა პალატის ვიცე-პრეზიდენტად იყო, და დიდხანს საქმის მომხსენებლად ირჩევდა იმას საბიუჯეტო კომისია. გრანცი რესპუბლიკელ პროგრესისტების მოთავედ ითვლება. როგორც „Matin“-ი მოგვითხრობს, გრანცს უთქვამს ერთის დეპუტატისათვის, რომ მხედრობის სიყვარულით გამსჭვალული ვარ, დრეიფუსის საქმე სრულებით არა მაქვს ჯერ შესწავლილი და საჭიროდ მიმაჩნია საკასაციო სასამართლოს განჩინებას დაუცადოო ამ საქმის შესახებო. ყოველ შემთხვევაში იმას არ აშინებს ამ საქმის ასე თუ ისე გარდაწყვეტა, რადგან სამხედრო საქმეებს ეხლა პირველად მოჰკიდა ხელი და არავითარი აღთქმა არა აქვს პალატასთან დრეიფუსის საქმის შესახებ. როცა საჭიროება მოითხოვს, იმას თამამად შეუძლიან თავისი მოვალეობის შესრულება. „Matin“-ი ამბობს, რომ ჯერ არ შეუდგენია გრანცს თავისი კანცელარია, მაგრამ გარდაწყვეტილი აქვს, არც ერთი აფიცერი არ მიიღოს კანცელარიაში მოხელედ, რომელიც, ცოტად მაინც არის გარეული დრეიფუსის საქმეშიო.

— 

ჰოლანდია. როგორც გაზეთები იუწყებიან, შეერთებულ შტატების დელეგატებს, რომელნიც სამშვიდობო კონფერენციას უნდა დაესწრნენ ჰააგაში, ნაბრძანები აქვთ, სამი საგნის შესახებ დაიყოლიონ კონფერენცია:

1) დაარსებულ იქმნას საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოები; 2) 1856 წელში გამოცემულ პარიჟის დეკლარაციის ომიანობის დროს ნეიტრალურ ვაჭრობის შესახებ დაემატოს კიდევ გარდაწყვეტილება, რომლითაც აღკრძალულ იქმნას ომის დროს კერძო კაცთა კუთვნილების დაჭერა ზღვაში და აგრეთვე ყოველ გვარ საქონლისა, რომელსაც არ შეიძლება დაერქვას სამხედრო კონტრაბანდი; 3) საყოველთაოდ გავრცელებულ იქმნას 1864 წ. ჟენევის კონვენციის დადგენილება ზღვის ომში დაჭრილთა და ავადმყოფ ჯარის-კაცთა შესახებ.

— ამბობენ, რომ, როგორც ისმის, ჰააგის სამშვიდობო კონფერენცია იმაზედ უფრო დიდხანს გასტანს, ვიდრე აქამდისინ ეგონათო. კრებას მრავალი საგანი ექმნება გასასინჯი, ამიტომ დელეგატებისაგან რამდენიმე სექცია უნდა შესდგეს, რომელთა მუშაობა 6—7 კვირას გაგრძელდებაო.

რომიდგან აუწყებენ გაზეთებს, რომ იტალიის მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა ავსტრო-უნგრეთთან და გერმანიასთან და გარდაუწყვეტია, რომ ისამივე სახელმწიფოს დელეგატებმა ერთმანეთის თანხმობით იმოქმედონ სამშვიდობო კონფერენციაზედო.

— 

ოსმალეთი. კონსტანტინოპოლიდგან მოსულ ცნობებით, რუსეთის საელჩოს გარდაუცია პორტისათვის ნამდვილი სია ოსმალეთიდგან კავკასიაში გადმოხვეწილ სომხეთა, რომელნიც ეხლა სამშობლოშივე უნდა დაბრუნდნენ. სიაში მოხსენებული ყოფილა ვინაობა, წლოვანება, ის ადგილი, სადაც დაიბადნენ და დრო, როცა ეს სომხები გადმოცნენ რუსეთის სამფლობელოში. სულ ჩამოთვლილი ყოფილა 20 ათას სულამდე. რომელთა მომეტებულ ნაწილად ქალები და ბავშები არიან.

„პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ს კერძო ცნობები მიუღია ვანიდგან, რომ სომხების მიერ დატოვებული მიწა-წყალი აქ ქურთების ხელშია ეხლაო, და როცა ხმა გავრცელდა იმათ უკანვე დაბრუნების შესახებ, ქურთები ძლიერ უკმაყოფილონი დარჩნენ და ისევ განაახლეს სომხების დარბევაო.

# დამკვირდი

სჯობს სიკვდილი სიცოცხლესა აუგიანსა.

* * *

ამ სოფლისა დიდებასა,
მიკვირს, ბრძენი ვინ რას აქნევს!

როსტომიანი

* * *

დავადგინოთ ებსურად მოდგაწებანი, შევიმოსოთ ჯაჭვად სიმართლენი, შევიბნეთ მახვილად სიყვარული, მზა ვიყვნეთ, რათა მტერმან ვერ პოოს ჩვენთან სიჯაბნე.

სულხან საბა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვენაში ეს არის ეხლა დამთავრდა გამოძიება ერთის ქურდის, იული რაიდლის საქმისა. ამ გამოძიებამ მთელი წელიწადი გასტანა. რაიდლს დღეს ვენაში „ქურდთა მეფეს“ ეძახიან. სასამართლოს წინაშე რაიდლმა პასუხი უნდა აგოს ოთხას ქურდობის (თუ მეტისა არა) ჩადენის გულისათვის. დაპატიმრებულ იქმნა ეს სახელოვანი ქურდი სწორედ მაშინ, როდესაც ერთს რაღაც უმნიშვნელო ნივთს იპარავდა. პოლიციამ არაფერი არ უწყოდა ამ ქურდის შესახებ იმ დრომდე, ვიდრე ამხანაგმა არ დააბეზღა და არ გასცა რაიდლი. რაიდლი დაპატიმრებისათანავე გამოტყდა, რომ ამ ქურდობის გარდა 137 სხვა ქურდობაც ჩამიდენიაო. საპყრობილეში ყოფნის დროს რაიდლი თავის თავგადასავალის წერას შეუდგა და ამ აღწერაში მოხსენებული აქვს 300 სხვა ქურდობაც, რომელიც მასვე ჩაუდენია ვენასა და იმის ახლო-მახლო მდებარე საავარაკო ადგილებში. როდესაც პოლიციამ ეს არ დაიჯერა, რაიდლმა გამოუცხადა, რომ მომეცით ეტლი, თან გამომაყოლეთ სამი პოლიციელი და ნათლად დაგიმტკიცებთ ჩამიდენია თუ არა ყველა ის ქურდობა, რაც თქვენ კვეხნად მიგაჩნიათო.

მთელი სამი კვირა დადიოდნენ ეტლით რაიდლი და სამი პოლიციელი. რაიდლის ყველა ნათქვამი მართლაც გამართლდა. ამასთან გამოირკვა, რომ ბევრს კაცს, რაიდლის მიერ გაქურდულს, პოლიციისთვის არც კი შეუტყობინებია გაქურდვის ამბავი. ეს კიდევ არაფერი. ბევრმა არც-კი უწყოდა, გაქურდული იყო თუ არა. რაიდლმა, მაგალითად, პოლიციელნი მიიყვანა ერთს სახლის-პატრონთან, რომლისთვისაც სანადირო დანა მოეპარა. სახლის პატრონმა განაცხადა, რომ მე არავისაც არ გაუქურდივარ და ჩემი დანა ისევ იქა ჰკიდია, სადაც წინად ეკიდა, სახელდობრ საწერ სტოლის ზემოთაო. მაგრამ, როდესაც ოთახში შევიდნენ, დანა მართლაც არ აღმოჩნდა იქ. მეორედ რაიდლმა პოლიციელი ერთ მოხუცებულ დედაკაცთან მიიყვანა. დედაკაცი საშინლად გაოცდა და გაჯავრდა კიდეც: ჩემს სახლში ყველაფერი თავის ადგილას არის, არც ქურდები შემოსულან და არც მოუპარავთ რამეო. „აბა, აი იქ, კუთხეში რომ ყუთი დგას, მიუგო თურმე რაიდლმა, კარგად გასინჯეთ: ფეხსაცმელი, შლიაპა და საცვლები ხომ არ გაკლიათო?!“. და მართლაც მოხუცმა მხოლოდ თვით რაიდლისაგან შეიტყო, რომ გაქურდული ყოფილა.

რაიდლი საქურდავად მათხოვრის ტანისამოსში გამოწყობილი დადიოდა. ან კიდევ წვრილმანი რამ დაჰქონდა გასასყიდად: პაპიროსები, სპიჩკები, შპილკები და სხვა. დაურიდებლად სახლში შედიოდა, თუ დახვდებოდა ვინმე, თავის საწვრილმანოს შეაძლევდა, თუ არა და რასაც დაინახავდა ასწაპნიდა ხოლმე. ხშირად ვაჭრობის დროსაც გააპარებდა ხოლმე რამე ნივთს. თვით საპყრობილეში რაიდლს ზედამხედველი და რამდენიმე პატიმარი გაუქურდნია.

* * *

ამას წინად ჩინეთის სატახტო ქალაქ პეკინში დაარსებულ იქმნა უნივერსიტეტი. ჩინეთში მრავალი უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ ეს სასწავლებლები არაფრით არა ჰგვანან ევროპის სასწავლებლებს. იქ სრულიად არ ასწავლიან იმ საგნებს, რასაც ევროპის სასწავლებლებში. ახალი უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტის მაგვარად არის მოწყობილი და ეს ჩინეთში პირველი მაგალითია. ამ უნივერსიტეტის დაარსებას მრავალი აღუდგა ჩინეთში წინ, მაგრამ მაინც იმ დასმა გაიმარჯვა, რომელიც ევროპის განათლების გავრცელების მომხრეა. ამ ჟამად ახალ უნივერსიტეტში 380 სტუდენტი სწავლობს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წვრილები

(წერილი: ᲓᲘ)

საეკლესიო მუზეუმის გამგეობამ მიიღო 15 წიგნი ტფილისის სიონის სალაროდამ. თითქმის უმეტესი მათგანი ტყავზედ ნაწერია და მგირფას უდიანი.

დღეს განვიხილავ № 460 (in fol. მცირე, კაბად. 145, ტყავზედ ნუსხურათ ნაწერი).

(ფურც. 145 ნუსხურით): ქ. ესე წიგნი სადუთოდ შაჰბისშვილმან მხითარ დავიჴსენ თათართა კელისაგან შამახიას და ყარალაშვილსა შალიკასა მივეც მისთჳს და ჩემისა სულისთჳს ვინც ესე წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, თუ ჩუენ ორთათჳს შენდობაჲ ჰბრძანოთ, რომელთა დაგუიჴსნია თათართა კელისაგან და რომელთა საქართველოს მოგვიღია: ვინცა ამათთჳს შენდობაჲ ჰბრძანოთ, ღმერთმან თქუენ შეგინდვნეს ცოდვანი თქუენნი ა˜ნ.

შემდეგ მხედრულად: (მე-XV—XVII საუკ. ხელით):

ესე წიგნი მხითარ შაჰაბაშვილმა თათართა კელისაგან დაიკსნა და ყარალაშვილს შალვას მოსცა. მე თომა (თუ ფაშა?) სულალაშვილი მოწამე ვარ...

მე 54 კაბადონის აშიაზე მერმინდელის ნუსხურით:

სახელით ღმრთისით და მეოხებით... მე იაგუნდის ძემან გრიგოლ მოვიგე ესე სამი წიგნი ჩემის სულის სალოცველად და ჩემთ დედა მამათა.

ამავე ხელით სხვა კაბადონების აშიაებზედაც არის შენიშნები, რომელნიც

შეეხება თვით წიგნის ტექსტს და საბიბლიოგრაფიოს არას შეიცავს.

ახლა თვით წიგნის შინაარსის შესახებ.

მთელი წიგნი, რომლის ტყავის ფურცლები დიდის ხელოვნებით გამოქნილია და ხელოვნურადვე ნაკეთები, ჟამთა ვითარებისაგან დაშლილა და კაცთა ულმობელობისაგან შემცირებულა. დღეს სულ 72 ფურცელიღაა, თავდაპირველად-კი უნდა მეტი ყოფილიყო.

საკვირველიც არ არის: შამახიის ტყვობის გარდა, ვინ იცის მას კიდევ რამდენი სხვა ტყვეობა უნახავს, რამდენი ჭირი და განსაცდელი! იგი, თურმე, ყოფილა თვით რუსეთშიაც, სადაც მას უფრო მეტი კნება მისცემია, ვიდრე ბარბაროსთა ქვეყნებში!

სადაც რომ ბუდე მოეშლება, გზა-და კვალს დაჰკარგავს, მისნი მართვენიც განიბნევიან და დაიღუპებიან. ასე მოუვიდა საქართველოსაც და მისთა მრავალ საუკუნოვან გონებრივთა საუნჯეთაც.

დღეს სად და სად არ არის ქართული წიგნი, სად და სად არ დაიწვა ანუ სახილვე ბარკად არ შესორსლდა?! სინა, იერუსალიმი, კალიპოსი, ათონი, ვენა, ლონდონი, პარიჟი, პეტერბურგი, მოსკოვი, ყაზანი, აშტარხანი და სხ. ბევრგან უბევრესად სთვლიან ქართულ საუნჯეს! ამ ბოლო დროს საეკლესიო მუზეუმში შემოიკრიბა ისეთი საუნჯეები, რომელთაც აშიებზე აწერიათ, თუ ვინ დაიხსნა იგინი სპარსთა ანუ ოსმალთა ტყვეობიდამ! ასე რომ აწერია თითო-ოროლა წიგნს, იფიქრეთ, რამდენი კიდევ სხვა იქნებოდა დატყვევებული, რომელთა შესახებ დღეს ჩვენ არავითარი ცნობა აღარა გვაქვს!

ურიები რომ პალესტინიდგან აჰყარეს და ბაბილონს გადაასახლეს, მათ თან გაჰყვათ მათი წიგნებიცა და საგალობლებიც. მდინარეთა ზედა ბაბილონისათა ისხდნენ იგინი და ტიროდნენ: თავის დაღუპულ დედულ მამულს იგონებდნენ. მტერი-კი აძალადებდა და ეუბნებოდა: „გვიგალობეთ გალობანი იერუსალიმისანი“!

ასრევე დაემართათ სპარსეთში გადასახლებულ ქართველებსაც. მთელი კახეთის სამეფო ულმობელის მტერის მეოხებით დატყვევდა და სპარსეთში გადაინერგა, ერი ერად დაიღუპა და მასთან გაყოლილი ქართული საგალობლიცა და საუნჯეც შემუსრა, გაუჩინარდა.

სამარყანდს რომ გიორგი მეფე და ქართველი ბატონიშვილები ამოჰხოცეს, მათ დაშთათ წიგნებიცა. ვინ გამოიძია იქაურობა ამ მხრივ? არავინ.

ლანგთემური რომ საქართველოში შემოვიდა, გადასწვა ორბელიანთ უმდიდრესი წიგნთ-საცავი. რამდენი საუნჯე დაიღუპა? არავინ იცის.

წინა დროს ჰბრწყინავდენ ქართველთა მონასტრები ალაშკერტს, ბანას, კარს, ფანფერტს, ოპიზას, ანჩას, კალიპოს და სხ. თითო-ოროლას გარდა სად არის აქ გაკეთებული საქმე, სად მიეფარა აქაური ღვაწლი? და რომ ეს ღვაწლი დიდი იყო, ამას გვიმტკიცებს წინამდებარე წიგნი—ოთხთავი, შედგენილი ალაშკერტელ მამამთავრის ზაქარიასაგან, და აქ ოთხთავის ბოლოს დაშთენილი ერთად-ერთი ფურცელი სხვა წიგნისა, შესანიშნავისა მით, რომ იგი ყოფილა ნაშთი მე-XI-ე საუკუნისა!

მ. ჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## გამოსადეგი ცნობა

თუ მაზოლი მალიან აგტკივდათ და გინდათ ტკივილი დაიყენოთ, უნდა დანაყილი ნიორი დაიდოთ. ხოლო ნიორმა რომ უფრო გასჭრას, ნაყვის დროს ზეითუნის ზეთი უნდა ჩაუმატოთ ცოტ-ცოტა და გაკეთდება მალამო, რომელიც მაზოლს ფესვიანად ამოაგდებს. ამ მალამოს ისეთი ცუდი სუნი აქვს, რომ „ეშმაკას სარდალს“ უწოდებენ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მაისი

**პეტერბურგი.** 4 მაისს დაიწყო შინაურ ფრინველების მომშენებელთა საერთაშორისო კრება.

**პარიჟი.** „Figaro“ არჩევს საიდუმლო „dossier“-ს და ამბობს, კიუნიე ისევე, როგორც პიკარი, ამტკიცებდა, რომ ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია „ეს საზიზღარი დ—“ დრეიფუსს არ შეეხებაო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში შემუშავებულ იქმნა პროგრამა იმ დღესასწაულებისა, რომელიც გამართული იქნება პარიჟში მარშანის მისსიის პატივ საცემად. მისსიას ტულონში დაჰხვდებიან. მეორე დღეს, პარიჟში, მისსიას მიესალმებიან წარმომადგენელნი სამხედრო, საზღვაო და ახალშენთა მინისტრებისა და სამხედრო კლუბის წევრები. მისსია სამინისტროს ეტლებით საზღვაო სამინისტროში მივა, სადაც ლოკრუა იმის პატივ-საცემად საუზმეს გამართავს.

5 მაისი

**ხაბაროვსკი.** ჩინეთის ქვრივმა დედოფალმა გამოაქვეყნა ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ მფარველობის ქვეშ უნდა იყვნენ კათოლიკეთა მისიონერები. დედოფალს სურს ნახოს, მშვიდობიანად სცხოვრობდნენ ერთმანეთთან მისი ქვეშევრდომნი და ქრისტიანები, რისთვისაც ჩინეთის სახელმწიფო მოხელეებს ებრძანათ დარბაზობა გადაუხადონ ხოლმე მისიონერებს. შეუძლიათ მოითხოვონ პირადათ ნახვა: ეპისკოპოსმა—ვიცე-კოროლებისა და გუბერნატორებისა, ვიკარიმ და დეკანოზმა — ხაზინადრებისა, პრავინციების მოსამართლეთა, ინტენდანტებისა, დანარჩენმა მღვდლებმა,—ოლქების უფროსთა პირველ და მეორე კლასისა. ეპისკოპოზებს ნება ეძლევათ კერძო წერილები მისწერონ და სადარბაზო ბარათები გაუგზავნონ ვიცე-კოროლებს და გუბერნატორებს შემდეგს შემთხვევებში: გაწესების და გაწესებულთა თავიანთ ადგილას მისვლის დროს, და ახალ წლის მოსალოცად. განსაკუთრებულს შემთხვევებში კათოლიკეთა მისიონერებმა შუამდგომლობა უნდა სთხოვონ მინისტრს ანუ კონსულს იმ სახელმწიფოსას, რომელსაც პაპმა მიანდო მფარველობა სარწმუნოებისა. ეს მინისტრი ანუ კონსული, საჭიროების კვალობაზე, მოლაპარაკებას გამართავს ცუნგ-ლი-იამენთან ანუ ადგილობრივ მოხელეებთან. ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია დაუყოვნებლივ და მშვიდობიანად განიხილოს კათოლიკეთა სამღვდელოების განცხადება და ღონისძიება იხმაროს, რათა ადგილობრივნი მკვიდრნი მშვიდობიანად და თანხმობით სცხოვრობდნენ მისიონერებთან. მისიონერები, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, კეთილად იქცეოდნენ და კათოლიკეთა სარწმუნოების პატივი და სახელი უნდა დაიცვან, რათა ხალხი კმაყოფილი და მადლიერი იყვეს.

**სოფია.** „ბოლგარსკოე აგენტსტვო“ გარდაწყვეტილად უარსა ჰყოფს პეტერბურგის გაზეთის „როსსიას“ მიერ მიღებულს ცნობებს, ვითომც მაკედონიის ლიგის წინამძღოლს, როცა ის ინახულა მთავარმა მისი მოკვლა განეზრახოს. მცირე ავადმყოფობისა გამო, მთავარს არავინ არ უნახულებია ამ სამი დღის განმავლობაში მინისტრ-პრეზიდენტის გარდა.

**დამასკი.** ადმირალი სკრიდლოვი თავისი შტაბით დაესწრა მართლ-მადიდებელ საკათედრო ტაძარში წირვას და სადღესასწაულო პარაკლისს, რომელიც გარდაიხადეს პატრიარქმა მელეტიმ და სინოდმა მართლმადიდებელ საზოგადოების თავმჯდომარის, დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრეს ძის სახელწოდების დღესასწაულისა გამო. ამ საზოგადოების მოწაფე-არაბთა გუნდი რუსულად გალობდა. აუწერელი სიხარული სუფევდა. პატრიარქმა უბოძა ადმირალს ქრისტეს დაბადების უძველესი ხატი. პატრიარქმა და მიტროპოლიტმა გულმხურვალედ უსურვეს ბედნიერება და მრავალჟამიერ სიცოცხლე უდიდეს მფარველს იმპერატორ ნიკოლოზ II.

პეტერბურგის ბირჟა, 4 მაისი

| | მყიდვე-ლისა. | | გამყიდ-ველისა | | გაკეთე-ბისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% -ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 209 | |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 95 | | — | „ | — | „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | | — | „ | | |
| 5% იმავე ბანკისა. | — | „ | — | „ | 100⅛ | |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — | „ | — | „ | 99⅝ | |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | 100 | | — | „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99¾ | | — | „ | — | „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — | „ | 98 | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | „ | — | „ | 286½ | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 253 | |

## წერილები რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ბართლომე ბიბინეიშვილს, რომელმაც დაუკვეთა თავ-სურების საეკლესიო სკოლას ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის მიმდინარე წლისა და ამას გარდა შემოსწირა წარსული წლის „ჯეჯილის“ 11 ცალი, და გაბრიელ ბედინეიშვილს, რომელმაც ამავე სკოლას და მახლობელ სკოლებსაც დაუკვეთა გაზეთი „მწყემსი“ მიმდინარე წლისა. გარდა ამისა გაბრიელ ბედინეიშვილი ხშირად აჯილდოვებს ამ სკოლების მოსწავლეებს სასულიერო შინაარსის წიგნაკებით და ძლიერ ღარიბებს ჰშველის სახელმძღვანელო წიგნების მიცემით.

გამგე სკოლისა მ. ლეონტი თებზაძე

—

ჩემ მიერ ახლად დაარსებულს საქსოვ სახელოსნოს შემწეობა აღმოუჩინეს ოჩამჩირის საზოგადოებამ. ლიუბა ს. ასულის კიკნაძის თაოსნობით იქმნა შეგროვილი ფული, რომლისთვისაც დიდ მადლობას ვწირავ პირველად ქ. კიკნაძისას და შემდეგ ყველა შემომწირველთა. შემომწირველნი არიან: ს. ი. კიკნაძე 3 მ., ძმ. ჩილენგარიანი 10 მ , კ. კ. აბაშიძე 20 მ., მ. მ. კაპრავასი 10 მ., თ. ჩაჩავა 3 მ., ხუსენ კარახასან 1 მ., ბანვ. ჩოჩია 50 კ., მ. ურდია 50 კ., ყარ. დავითაია 1 მ., ბლაღოჩინი 50 კ , პ. საბაშვილი 50 კ., იაკობ არშიბაია 50 კ , ნიკო მიხედჟა 50 კაპ., ზაალ სალაკაია 1 მ., ახბად-ოღლი 50 კ., სავა ბერძენი 40 კ., ივანე სანაია 50 კაპ., დიმიტრი სტირიდნია 50 კაპ., ალექსი გულაძე 50 კაპ., ერ. ლიფონავა, შუბინ 1 მ., ფარნა ქლენტი 1 მ., გ. ხაბურზანია 1 მ., კ. ჟორდანია 1 მ.

ზუგდიდიდგან შემოსწირა: სოლომონ ნ. ჯიქიამ 2 მ., ს. ჯატურიამ 1 მ., პრავიზორმა 1 მ., დეპუტატმა ჟვანიამ 1 მ.

ყულისკარიდგან ამავე სახელოსნოს შემოსწირა თავადმა ლევან ბეჟანის ძე მხეიძემ ოთხი თუმანი და შემდეგისთვის კიდევ აღმითქვა ჩემის ღარიბის სახელოსნოს დახმარება, რისთვისაც დიდს მადლობას ვუძღვნი.

სახელოსნოს დამაარსებელი და მასწავლებელი ოლღა მ. ჟორდანია

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისში, კავკასიის მთავარ მართებლის მიერ დამტკიცებულ ცხენის იარმუკათა დებულების თანახმად, ამა წლის 5 **მაისიდგან** გამართული იქმნება

## ცხენის იარმურკა,

რომელიც 18 **მაისამდე** გასტანს. ადგილი ამ იარმურკას დაეთმო დიდუბეში, იქ, სადაც მარულა იმართება ხოლმე.

(3—6—3)

ქ. ქუთაისში

ახლად გაიხსნა

## ღვინის საწყობი

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფ ა ს ე ბ ი:

| № | | | ბოთლი უპურქლოთ | ფუთი მ. კ. |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ღვინო | სვირისა | 15 კ. | 2 30 |
| 9 | „ | „ | 18 „ | 2 80 |
| 8 | „ | „ | 20 „ | 3 — |
| 8 | „ | კახური | 20 „ | 3 20 |
| 7 | „ | „ | 25 „ | 4 — |
| 6 | „ | „ | 30 „ | 4 80 |
| 5 | „ | „ | 40 „ | 6 — |
| 4 | „ | „ | 50 „ | 7 — |
| 3 | „ | „ | 60 „ | 9 — |
| 2 | „ | „ | 80 „ | 12 — |
| 1 | „ | „ | 1 მან. | 15 — |
| ყიფიანებისა | „ | „ | 30 კ. | 5 40 |

(10—52—4)

1899

## „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

გ ა მ ო ვ ა  ი მ ა ვ ე  პ რ ო გ რ ა მ ი თ

მხოლოდ ჟურნალის კრეულის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი მაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**“

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და გავისტოში.

(20—6.—13)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Мая 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე